შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია
SOLID WASTE MANAGEMENT COMPANY OF GEORGIA LTD

N 04/132
08/04/2022

132-04-2-202204081416

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ოთარ შამუგიას

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, ევროკავშირისა (EU NIF) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებს „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტს“.

პროექტი ითვალისწინებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვას იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. პროექტით გათვალისწინებულია ქუთაისის მიმდებარედ ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მოწყობა, ქუთაისის მოქმედი ძველი ნაგავსაყრელის დახურვა, ნარჩენების გადამტვირთავი 6 სადგურის მოწყობა და მუნიციპალიტეტების შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.

მოგახსენებთ, რომ ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა დაგეგმილია წყალტუბოს მუნიციპალიტეტში (სოფელ მუხიანის მიმდებარედ).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის შესაბამისად, ზემოზსენებული ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სკოპინგის ანგარიშს.

საქართველო, 0186, ა.პოლიტკოვსკაიას 14, ტელ: (+995 32) 438 830; mail: info@waste.gov.ge

14 A.politkovskaya str, 0186, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 438 830;

დანართი:

- სკოპინგის ანგარიში შესაბამისი დანართებით (ბეჭდური და ელექტონული ვერსიები).
- საპროექტო ტერიტორიის Shp ფაილები.

პატივისცემით,

გიორგი შუხოშვილი

დირექტორი